ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

თვითმმართველი ქალაქ ფოთის საკრებულოს განკარგულება

№ 3/ 11

"21" თებერვალი 2008 წელი, ქალაქი ფოთი

საჯარო სამართლის იურიდიული პირი სკოლისგარეშე სასპორტო საგანმანათლებლო დაწესებულება – ფოთის №96 რაგბის სასპორტო სკოლის ბაზაზე – თვითმმართველი ქალაქ ფოთის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი სკოლისგარეშე სასპორტო საგანმანათლებლო დაწესებულება – რაგბის სასპორტო სკოლის შექმნის და წესდების დამტკიცების შესახებ.

თვითმმართველი ქალაქ ფოთის საკრებულო აღნიშნავს, რომ „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 22-ე მუხლის I პუნქტის „ლ" ქვეპუნქტის და საქართველოს მთავრობის 2007 წლის 13 ნოემბრის №131 დადგენილების „ადგილობრივი მნიშვნელობის ბიბლიოთეკების, არაპროფესიული (სამოყვარულო) თეატრების, საკლუბო დაწესებულებების (კულტურის სახლების), მუზეუმების, სკოლისგარეშე სახელოვნებო და სასპორტო საგანმანათლებლო დაწესებულებების განსაზღვრის წესის შესახებ" პირველი მუხლის შესაბამისად, სკოლისგარეშე სასპორტო და სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულებების ბაზაზე არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირად შექმნას ახორციელებს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო.

ამასთანავე, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-16 მუხლის მეორე პუნქტის „პ" ქვეპუნქტის შესაბამისად, თვითმმართველი ქალაქ ფოთის საკრებულოს ექსკლუზიურ უფლებამოსილებას განეკუთვნება თვითმმართველი ქალაქ ფოთის სკოლისგარეშე სასპორტო და სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულებების არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირად შექმნა.

აღნიშნულიდან გამომდინარე:

1. საჯარო სამართლის იურიდიული პირი სკოლისგარეშე სასპორტო საგანმანათლებლო დაწესებულება – ფოთის №96 რაგბის სასპორტო სკოლის ბაზაზე შეიქმნას – თვითმმართველი ქალაქ ფოთის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი სკოლისგარეშე სასპორტო საგანმანათლებლო დაწესებულება – რაგბის სასპორტო სკოლა და განთავსდეს მისამართზე: ქალაქი ფოთი, რუსთაველის რკალი №5.

2. დამტკიცდეს: თვითმმართველი ქალაქ ფოთის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი სკოლისგარეშე სასპორტო საგანმანათლებლო დაწესებულება – რაგბის სასპორტო სკოლის წესდება.
3. საქართველოს მთავრობის 2007 წლის 13 ნოემბრის №131 დადგენილების მე-2 მუხლის საფუძველზე, თვითმმართველი ქალაქ ფოთის მერმა მიმართოს საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს, თვითმმართველი ქალაქ ფოთის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი სკოლისგარეშე სასპორტო საგანმანათლებლო დაწესებულება – რაგბის სასპორტო სკოლის ქონების გადმოცემის თაობაზე.
4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

თვითმმართველი ქალაქ ფოთის
საკრებულოს თავმჯდომარე: დავით შურღაია

215138143

განკარგულება ეგზავნება: თვითმმართველი ქალაქ ფოთის საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო განყოფილებას (2-ეგზ.), თვითმმართველი ქალაქ ფოთის მერს (ი.სალინაძეს), სოციალურ საკითხთა კომისიას (დ.ცხვიტარიას), თვითმმართველი ქ.ფოთის მერიის კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამსახურს (პ.ფიფიას), თვითმმართველი ქალაქ ფოთის საგადასახადო ინსპექციას (ა.სონგულიას.)

06.03.08б.

დამტკიცებულია
თვითმმართველი ქალაქ ფოთის
საკრებულოს 2008 წლის 21 თებერვლის
№3/11 განკარგულებით

თვითმმართველი ქალაქ ფოთის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი სკოლისგარეშე სასპორტო საგანმანათლებლო დაწესებულების რაგბის სასპორტო სკოლის

წ ე ს დ ე ბ ა

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. თვითმმართველი ქალაქ ფოთის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი სკოლისგარეშე სასპორტო საგანმანათლებლო დაწესებულება რაგბის სასპორტო სკოლა (შემდგომში – სკოლა) წარმოადგენს „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის, საქართველოს მთავრობის 2007 წლის 3 ივლისის №131 დადგენილების „ადგილობრივი მნიშვნელობის ბიბლიოთეკების, არაპროფესიული (სამოყვარულო) თეატრების, საკლუბო დაწესებულებების (კულტურის სახლების), მუზეუმებისა სკოლისგარეშე სახელოვნებო და სასპორტო საგანმანათლებლო დაწესებულებების განსაზღვრის წესის შესახებ" და თვითმმართველი ქალაქ ფოთის საკრებულოს მიერ შექმნილ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირს, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების გარეშე, დამოუკიდებლად ახორციელებს სპორტულ-გამაჯანსაღებელ და პროფილერ-სპორტულ საქმიანობას.
2. სკოლა თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ, საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროსთან შეთანხმებით დამტკიცებული საგანმანათლებლო პროგრამებისა და სტანდარტების შესაბამისად.
3. სკოლას აქვს ბეჭედი, შტამპი თავისი დასახელების მითითებით, ანგარიში შესაბამის საბანკო დაწესებულებებში და იურიდიული პირის სხვა რეკვიზიტები.
4. სკოლის იურიდიული მისამართია: ქ. ფოთი, რუსთაველის რკალი №5.

მუხლი 2. სკოლის ძირითადი მიზნები და საქმიანობის საგანი

1. სასპორტო სკოლის ძირითადი მიზნები და ამოცანებია:
   ა) ბავშვთა და მოზარდთა მაქსიმალური რაოდენობის ჩაბმა სისტემატიურ სპორტულ-გამაჯანსაღებელ მოძრაობაში, სკოლის პროფილის შესაბამისად მათი მეთოდური აღზრდა და დაოსტატება.
   ბ) ცხოვრების ჯანსაღი წესის პროპაგანდა და მისი დამკვიდრება მოზარდ თაობაში, მასობრივი სპორტის განვითარება.
   გ) სკოლაში არსებული სპორტის სახეობების მიხედვით, ქალაქის ეროვნული ნაკრები გუნდების კანდიდატებისა და სელექციის მეშვეობით შერჩეული პერსპექტიული ჭაბუკი სპორტსმენების მზადების წლიური საწვრთნელი პროცესის ორგანიზება და ნაკრები გუნდებისათვის რეზერვის მომზადება.

დ) სასპორტო სკოლის მოსწავლეთათვის (სპორტსმენთათვის), ქალაქის და ეროვნული ნაკრები გუნდების წევრებისათვის შესაბამისი სპორტის სახეობათა მიხედვით მატერიალურ-ტექნიკური და საწვრთნელი ბაზის შექმნა.

ე) თანამედროვე საწვრთნელი პროცესის დანერგვით, საკუთარი სპორტულ ღონისძიებათა კალენდარის შემუშავებითა და შესრულებით, სპორტული რეზერვების მომზადების ეფექტური სისტემის შექმნა;

ვ) სპორტულ-მეთოდური საქმიანობის წარმოება, მონაწილეობის მიღება სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებათა, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის, სპორტის სახეობათა ფედერაციების და სხვა სპორტულ ორგანიზაცია დაწესებულებათა მიერ ორგანიზებულ კვალიფიკაციის ამაღლების კურსებში, სემინარებში და სხვა.

ზ) სკოლის მოსწავლეთათვის (სპორტსმენთათვის) სამედიცინო-დიაგნოსტიკური, სპორტულ-გამაჯანსაღებელი პროცესის ორგანიზება.

თ) სასპორტო სკოლის თანამშრომელთა და სპორტსმენთა სოციალური პირობების გაუმჯობესებაზე ზრუნვა;

2. თავისი მიზნებისა და ამოცანების შესასრულებლად სკოლა ეტაპების შესაბამისად ახორციელებს შემდეგ სკოლისგარეშე სასპორტო საწვრთნელ საქმიანობას სპორტის რამოდენიმე სახეობაში:

ა) პირველი (დაწყებითი) ეტაპის – საერთო ფიზიკური და დაწყებითი მომზადება მოიცავს:

ა.ა) მოძრავი სახალისო სპორტული თამაშობების შესწავლასა და მათში მონაწილეობის მიღებას;

ა.ბ.) სპორტის საფუძვლებისა და ეროვნული მემკვიდრეობის გაცნობას;

ა.გ) ჯანსაღი ცხოვრების წესის აღქმასა და უნარჩვევების გამომუშავებას, სპორტულ-პატრიოტული სულის ჩამოყალიბებას;

ა.დ) მოსწავლე-სპორტსმენის მომზადებას შესაბამისად შემდგომ საწვრთნელ ეტაპზე გადასასვლელად.

ბ) მეორე (საბაზო-საორიენტაციო) ეტაპის საწვრთნელი სასპორტო საქმიანობა მოიცავს;

ბ.ა) პირველ (დაწყებით) ეტაპზე შეძენილი ცოდნისა და ფიზიკური ვარჯიშების სრულყოფასა და ფიზიკური კონდიციების ამაღლებას;

ბ.ბ) შესაბამისი უნარ-ჩვევების გაღრმავებას;

ბ.გ) სპორტის კონკრეტული სახეობის დაუფლებაზე ორიენტირებულთა მომზადებასა და შესაბამის სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეობას;

ბ.დ) დამოუკიდებლად წვრთნის უნარჩვევების გამომუშავებას;

ბ.ე) მოსწავლის (სპორტსმენის) მომზადებას შემდგომი წვრთნის ეტაპზე გადასასვლელად.

გ) მესამე (საშუალო) ეტაპის – სპორტული დახელოვნებისა და სრულყოფის სასპორტო საქმიანობა მოიცავს;

გ.ა) წვრთნის პროცესის აქტივიზაციას;

გ.ბ) არჩეულ სპორტის სახეობაში შეძენილი სპორტული მომზადების, სპორტული ცოდნისა და უნარჩვევების რეალიზებას;

გ.გ) სპორტულ შეჯიბრებებზე მაქსიმალურად მაღალი შედეგების ჩვენებას და უმაღლესი სპორტული შედეგების მისაღწევად მომზადებას;

გ.დ) მოსწავლის (სპორტსმენის) მომზადებას შესაბამისად შემდგომი წვრთნის ეტაპზე გადასასვლელად.

დ) მეოთხე (უმაღლესი) ეტაპის – უმაღლესი სპორტული დაოსტატების სასპორტო საქმიანობა მოიცავს;

დ.ა) მაღალი სპორტული შედეგების ჩვენებას, როგორც, ეროვნულ ასევე საერთაშორისო შეჯიბრებებზე, მათ შორის ევროპის, მსოფლიოსა და ოლიმპიურ თამაშებზე.
დ.ბ) მოსწავლეების (სპორტსმენების) მზადებას ეროვნული ნაკრები გუნდების წევრობის ან წევრობის კანდიდატობისათვის.

3. სკოლის სასპორტო-საწვრთნელი პროცესის ძირითად ფორმას წარმოადგენს:
   ა) ჯგუფური საწვრთნელი და თეორიული მეცადინეობები;
   ბ) ინდივიდუალური წესით მეცადინეობები, რომელიც (ინდივიდუალური და პერსპექტიული გეგმების შესაბამისად) აუცილებელია დახელოვნებისა და უმაღლესი დაოსტატების ეტაპზე;
   გ)სხვადასხვა რანგის შეჯიბრებებში და სასწავლო –საწვრთნელ შეკრებებში მონაწილეობა (როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ);
4. სასპორტო მომზადებისა და უნარ-ჩვევების გამოვლენისა და კონტროლის ფორმებია: მიმდინარე (ვარჯიშის შესრულება) და პერიოდული (სპორტული შეჯიბრებები, ნაჩვენები შედეგები და სხვა);
5. თითოეული სასპორტო-წვრთნის ეტაპის დასრულებისას და შესაბამისი მოთხოვნების შესრულების დაკმაყოფილებისას სკოლადამთავრებულს ეძლევა მოწმობა, რომელიც გაიცემა საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს მიერ.

მუხლი 3. სკოლის მოსწავლეთა (სპორტსმენთა) უფლებამოსილებანი

1. სკოლის მოსწავლეები (სპორსმენები) უფლებამოსილნი არიან:
   ა) ისარგებლონ სკოლის სპორტული ბაზით, ინვენტარით და სხვა ძირითადი თუ დამხმარე ნაგებობებით;
   ბ.) მოითხოვონ მათ მიერ სკოლასთან დადებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობების შესრულება.
2. სასპორტო სკოლის მოსწავლეები (სპორტსმენები) ვალდებულნი არიან შეასრულონ სასპორტო სკოლის წესდება, ხელშეკრულებითა და შინაგანაწესით გათვალისწინებული პირობებით.

მუხლი 4. სკოლის სტრუქტურა

1. სკოლის სტრუქტურა მოიცავს დირექციას (რომლის შემადგენლობაში შედიან დირექტორი და მისი მოადგილეები), პედაგოგთა (მწვრთნელთა) საბჭოსა და სპორტულ განყოფილებებს.
2. სკოლაში ახალი სპორტული განყოფილების გახსნა ხორციელდება შესაბამისი ეროვნული ფედერაციის რეკომენდაციის გათვალისწინებით, შესაბამისი პედაგოგიური კადრებისა და მატერიალურ – ტექნიკური ბაზის არსებობის შემთხვევაში.

მუხლი 5. სასპორტო სკოლის მართვა

1. სკოლის საქმიანობას წარმართავს დირექტორი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს თვითმმართველი ქალაქ ფოთის მერი.
2. დირექტორად შეიძლება დაინიშნოს ის პირი, რომელსაც აქვს უმაღლესი განათლება.

3. სკოლის დირექტორი:

ა) წარმართავს და ორგანიზებას უწევს სკოლის საერთო და სასწავლო – სპორტულ საქმიანობას და პასუხისმგებელია ამ საქმიანობის კანონიერებასა და ეფექტურობაზე;

ბ) თვითმმართველი ქალაქ ფოთის მერთან შეთანხმებით ამტკიცებს სკოლის საშტატო განრიგს და თანამდებობრივ სარგოებს;

გ) მინდობილობის გარეშე წარმოადგენს სკოლას ყველა ინსტანციაში, გასცემს მინდობილობებს, დებს გარიგებებს;

დ) კანონით დადგენილი წესით განაგებს და განკარგავს სკოლის ქონებას და სახსრებს, მასვე ეკისრება პასუხიმგებლობა სკოლის საკუთრებაში არსებულ ქონებაზე და ფულადი სახსრების (ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს წინაშე – ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი) მიზნობრივად და სწორად ხარჯვაზე;

ე) საქართველოს შრომის კოდექსით დადგენილი წესით აფორმებს შრომით ხელშეკრულებებს სკოლის თანამშრომლებსა და საჭიროებისამებრ დროებით მოწვეულ სპეციალისტებთან, იღებს გადაწყვეტილებებს სკოლის თანამშრომელთა წახალისებისა და დისციპლინარული პასუხისმგებლობის შესახებ; პედაგოგთათვის (მწვრთნელთათვის) მონიჭებული სამეცნიერო ხარისხისა და საპატიო წოდების გათვალისწინებით განსაზღვრავს განაკვეთის დატვირთვის და სახელფასო ანაზღაურების ოდენობას;

ვ) კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართებლივ აქტებს, არსებული დაფინანსების ფარგლებში სამინისტროსა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოსთან შეთანხმებით განსაზღვრავს მისაღები კონტინგენტის რაოდენობას, წყვეტს მოსწავლეების (სპორტსმენების) სკოლაში ჩარიცხვისა და გარიცხვის ან სხვა სპორტულ ორგანიზაციაში მათი გადაყვანის საკითხს;

ზ) შეიმუშავებს და ამტკიცებს სკოლის შინაგანაწესს (შინაგანაწესში აისახება: სასპორტო სკოლაში მოსწავლეთა მიღების წესი და საკონკურსო მოთხოვნები, ასევე გადმოყვანის პირობები: სპორტული წვრთნის კონკრეტული ეტაპისა და ვარჯიშის ხანგრძლივობა კვირეული დატვირთვა, ჯგუფებში ბავშვთა რაოდენობა; სასპორტო სკოლაში შემსვლელთათვის აუცილებელი საბუთების ნუსხა, (მათ შორის სამედიცინო ცნობა ჯამრთელობის შესახებ); მოსწავლის მშობელთან ან კანონიერ წარმომადგენელთან გასაფორმებელი ხელშეკრულების ფორმა და პირობები);

თ) ამტკიცებს სკოლის სტრუქტურული ერთეულების სამუშაო გეგმას, განსაზღვრავს საქმიანობის ძირითად მიმართულებას;

ი) თვითმმართველი ქალაქ ფოთის საკრებულოს წარუდგენს წინადადებას სკოლის დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის, ასევე სკოლის რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის შესახებ;

კ) ნიშნავს და ათავისუფლებს სკოლის დირექტორის მოადგილეს თვითმმართველი ქალაქ ფოთის მერთან შეთანხმებით;

ლ) დებულებით განსაზღვრული მიზნებისა და ამოცანების მისაღწევად უფლებამოსილია განახორციელოს სხვა მოქმედებები;

მ) დირექტორის არყოფნის შემთხვევაში დირექტორის მოვალეობას ასრულებს მისი მოადგილე.

მუხლი 6. სასპორტო სკოლის ქონება და საფინანსო - სამეურნეო საქმიანობა

1. დასახული მიზნებისა და დაკისრებული ფუნქციების განსახორციელებლად სკოლას საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მიერ გადაეცემა უძრავი ქონება უსასყიდლოდ უზუფრუქტის წესით, ხოლო მოძრავი ქონება თხოვების ფორმით, რომელიც მის ბალანსზე არსებულ სხვა ქონებასთან ერთად გამოიყენება მხოლოდ ამ დებულებით დასახული მიზნებისა და ამოცანების შესასრულებლად, მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.
2. სასპორტო სკოლის დაფინანსების წყაროებია:
   ა) შესაბამისი (ადგილობრივი) ბიუჯეტიდან გამოყოფილი საბიუჯეტო ასიგნება, ადგილობრივი სუბსიდიები;
   ბ) ფასიანი სწავლებიდან მიღებული სახსრები;
   გ) დამხმარე სახის სამეურნეო საქმიანობიდან მიღებული შემოსავლები;
   დ) სახელმწიფო შეკვეთის შესრულებიდან მიღებული შემოსავალი;
   ე) სპორტულ-მასობრივი ღონისძიებების ჩატარებიდან მიღებული შემოსავლები;
   ვ) ხელშეკრულების საფუძველზე შესრულებული სამუშაოდან მიღებული შემოსავალი;
   ზ) საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლები
3. ამ მუხლის მეორე პუნქტით განსაზღვრული შემოსავლები მთლიანად ხმარდება სკოლის მიზნებისა და ფუნქციების განხორციელებას და სკოლის განვითარებას.

მუხლი 7. დასკვნითი დებულება

1. სკოლის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია ხდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თვითმმართველი ქალაქ ფოთის საკრებულოს
თავმჯდომარე: /**დავით შურღაია**/

ს ა ნ ო ტ ა რ ო ა ქ ტ ი

რეესტრში რეგისტრაციის № 1-1934

საქართველო

თვითმმართველი ქ. ფოთის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სკოლისგარეშე სასპორტო საგანმანათლებლო დაწესებულების რაგბის კომპლექსური სასპორტო სკოლის

წ ე ს დ ე ბ ა

ორიათას რვა წლის ოცდაცხრა თებერვალი
ნოტარიუსი მზევინარ გაბუნია
ქ. ფოთი, კოსტავას ქ. №8

ორიათას რვა წლის ოცდაცხრა თებერვალს, მე, მზევინარ გაბუნიას, ნოტარიუსს ქალაქ ფოთში, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე ქ. ფოთი კოსტავას ქ. №8 მომმართა თვითმმართველი ქ. ფოთის საკრებულოს თავმჯდომარემ დავით შურღაიამ. მან წარმოადგინა თვითმმართველი ქ. ფოთის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სკოლისგარეშე სასპორტო საგანმანათლებლო დაწესებულების რაგბის კომპლექსური სასპორტო სკოლის წესდება და მოითხოვა მისი წესით დადასტურება. მე დავადგინე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად დავით შურღაიამ (დაბადებული 1965 წლის 22 აგვისტოს ფოთში, პირადობის მოწმობა №Გ 0081576, პირადი №42001002928, გაცემული ფოთის შსს მიერ 1996 წლის 11 ოქტომბერს, მცხოვრები: ქ. ფოთი, სტალინის სანაპირო №4/33) მომმართა. მე, შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და დავრწმუნდი, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის საფუძველი არ არსებობს. მე, ასევე დავადგინე მისი უფლებამოსილება და დავრწმუნდი, რომ თანახმად თვითმმართველი ქ. ფოთის საკრებულოს №1/2 განკარგულებისა, გაცემული 2006 წლის 02 ნოემბერს დავით შურღაია დანიშნულია თვითმმართველი ქ. ფოთის საკრებულოს თავმჯდომარედ.

წინამდებარე წესდება შედგენილია ქართულ ენაზე და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას.

აღნიშნული წესდება იურიდიულ ძალას იძენს ქ. ფოთის რეგიონალურ ცენტრში (საგადასახადო ინსპექცია) რეგისტრაციის მომენტიდან.

ეს წესდება მე, წავუკითხე მას განვუმარტე მისი შინაარსი და მასზე ხელმოწერის სამართლებრივი შედეგები, ამ განმარტების შემდეგ მან წაიკითხა წესდება და ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი მას, რასაც ვადასტურებ.

გადახდილია ნოტარიუსის საზღაური: 18 ლარი, თანახმად სანოტარო მოქმედებათა შესრულების საზღაურის შესახებ კანონის (1998 წ. 10. 06) 18-ე და 22-ე მუხლისა და დღგ 3, 25 ლარი საქართველოს საგადასახადო კოდექსის 245-ე მუხლისა, სულ 21,25 ლარი

ნოტარიუსი: მზევინარ გაბუნია